

შპს მაჟორ გეორგია

ს/კ 434171950

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს მაჟორ გეორგია

ს/კ 434171950

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
4. ძირითადი საშუალებები	14
5. არამატერიალური აქტივები	15
6. მარაგები	16
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
8. ფული და ფულის ექვივალენტები	16
9. მიღებული სესხები	17
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
11. საგადასახადო ვალდებულებები	18
12. შემოსავალი	18
13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	18
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18
15. ბალანსის შემდგომი მოვლენები	21

შპს მაჟორ გეორგია

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	37005	52727	11231
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	242379	155819	111544
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	11698	324	724
მარაგები	138693	112119	82616
მზა პროდუქცია	132761	112119	82616
სხვა	5932	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	17957	15918	3863
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	969	1251	1978
ძირითადი საშუალებები	104985	32492	49703
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	553686	370650	261659
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	248657	119609	118059
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	1113	5543
საგადასახადო ვალდებულებები	6903	11772	9878

გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	27080	50000
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	144	12152	7809
სულ ვალდებულებები	255704	171726	191289
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2922	36660	9188
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	295060	162264	61182
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	297982	198924	70370
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	553686	370650	261659
სულ მოკლევადიანი აქტივები	447748	336897	209968
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	225299	134292	141284

შპს მაჟორ გეორგია

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

მოგება-ზარალის ანგარიშგება

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	4818153	3180413
საქონლის გაყიდვიდან	4818153	3180413
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3842685	-2610713
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	975468	569700
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	4684
დასაქმებულთა ანაზღაურება	-374371	-270244
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-12423	-12564
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-1199	-6745
იჯარის ხარჯი	-56625	-41021
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-149973	-96676
სულ საოპერაციო ხარჯები	-594591	-422566
საოპერაციო მოგება	380877	147134
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების	-16474	-15498

გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-16054	-6682
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	348349	124954
მოგების გადასახადის ხარჯი	-30353	-6695
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	317996	118259
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	317996	118259
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	198924	70370
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-171999	-18947
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-13202	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-33737	29242
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	297982	198924

შპს მაჟორ გეორგია

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	313147	70472
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-121905	27472
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-206964	-47664
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-15722	50280
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	-8784
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	52727	11231
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	37005	52727

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მაჟორ გეორგია (434171950) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა საფუარით და სხვა სასურსათო ნედლეულით (NACE10890). კომპანია დაფუძნდა 2018 წელს. დამფუძნებელი, 100% - იანი წილის მფლობელი დაფუძნებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე არის იდრის მუსაევი (C00691553), ხოლო დირექტორი არის ნურლან მამედოვი (28001089299).

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, მარნეული, სოფ. აღმამედლო.

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გ.ნადარეიშვილის ქ9

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების **(მსს ფასს)** შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	აშშ დოლარი
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766
2020 წლის 1 იანვრისათვის	2.8661

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადები

საოფისე აღჭურვილობა	2-5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საექვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (FIFO) მეთოდით.

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4.ძირითადი საშუალებები:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 31 დეკემბერი 2020	-	-	-	26,262	33,165	72,330
შემოსვლა				17,761	67,210	84,971
გადაფასება		-		-	-	-
გასვლა		-		(337)	-	(337)
ისტორიული ღირებულება 31 დეკემბერი 2021	-	-	-	43,686	100,375	144,061
ცვეთა და გაუფასურება				(9,598)	(17,337)	(26,935)
ნეტო საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	-	-	-	34,088	83,038	117,126
დარიცხული პერიოდის ცვეთა				(5,647)	(6,494)	(12,141)
გასვლა					-	-
31 დეკემბერი 2021				28,441	76,544	104,985
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020				16,664	15,828	32,492
31 დეკემბერი 2021				28,441	76,544	104,985

5. არამატერიალური აქტივები:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2020	5,086	5,086
შემოსვლა	-	-
გადაფასება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2020	5,086	5,086
ცვეთა და გაუფასურება	(3,835)	(3,835)
31 დეკემბერი 2020	1,251	1,251
პერიოდის ცვეთა	(282)	(282)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	969	969
		-
წმინდა საბალანსო ღირებულება		-
31 დეკემბერი 2020	1,251	1,251
31 დეკემბერი 2021	969	969

6. მარაგები

	2021	2020
ნედლეული და მასალები	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	132,761	112,120
სულ	132,761	112,120

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 3842685 ლარი (2020 წელს -2610712 ლარი)., იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში.

7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	242,379	155,819
გადახდილი ავანსები	-	-
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 21)	-	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი (შენიშვნა 21)	-	-
სულ	242,379	155,819

8. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	2021	2020
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	32,781	27,957
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	-	-
სულ	32,781	27,957

	2021	2020
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	4,224	52,727
საბანკო ოვერდრაფტი (შენიშვნა 10)	-	-
სულ	4,224	52,727

9. მიღებული სესხები:

	2021	2020
გრძელვადიანი საბანკო სესხები	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
	-	-
მოკლევადიანი საბანკო ოვერდრაფტი	-	-
საბანკო სესხები		
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	27,080
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
	-	27,080
სულ სესხები	-	27,080

გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი სრულად დაიფარა 2021 წლის აპრილში, საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა წლიურ 20% (2020 წელს 20%).

10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	248,657	131,761
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 21)	-	-
მიღებული ავანსები	-	-
სულ	248,657	131,761

11. საგადასახადო ვალდებულებები

	2021	2020
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება	-	-
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა	-	-
საშემოსავლო გადასახადები		6,429
დღგ	6,215	3,128
ქონების გადასახადი	688	321
სულ	6,903	9,878

12. შემოსავალი

	2021	2020
საქონლის გაყიდვა	4,818,153	3,180,413
მომსახურების გაწევა	-	-
სულ	4,818,153	3,180,413

კომპანიის შემოსავალს შეადგენს საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2021	2020
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	3842685	2610713
სულ	3,842,685	2,610,713

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2021	2020
რეკლამის ხარჯები	2461.23	0
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	18969.28	16729.94
შრომის ანაზღაურება	374371.27	270243.79
ბანკის საკომისიო	14435.81	9929.6
კომუნალურის ხარჯები	1609.07	1176.43
საკანცელარიო ხარჯები	373.91	249.07
ექსპლუატაციის ხარჯი	1157.64	1111.04
სოციალური დანარიცხები	6181.26	4245.89
საწვავის ხარჯები	52615.05	34883.06
წარმომადგენლობითი ხარჯი	574.1	392.93
ოფისის ხარჯი	4050.93	1384.8
საიჯარო ქირა	56625.17	41020.86
ტვირთის დატვირთვა- ჩამოტვირთვის ხარჯი	17152.54	3563.56
პროგრამული უზრუნველყოფის და მომსახურების ხარჯი	1329.66	0
კომუნიკაციის ხარჯები	5370.56	4462.01
ავტომობილების დაზღვევა	1437.97	0
ჯანმრთელობის დაზღვევა	5717.22	0
კომპიუტერის ხარჯები	399.15	156.53
საკონსულტაციო ხარჯები	8497.03	500
ცვეთა და ამორტიზაცია	12423.39	12564.25
მივლინების ხარჯი	6137.65	5781.11
სხვა საგადასახადო ხარჯი	708.44	379.69
სხვა საერთო ხარჯი	794.35	11730.89

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

16. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და გამოსაცემად მზად არის 2022 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი :-----/ნურლან მამედოვი/



ბ.ა